ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

Shaping the Future by Changing Today

სტუდენტური კონკურსი

კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა საქართველოზე

კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი
KAKHETI REGIONAL DEVELOPMENT FOUNDATION

ჭიათურელთა კავშირი

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის განვითარების ასოციაცია

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი
Young Pedagogues' Union

დავალების აღწერა და კრიტერიუმები:

კონკურსის მონაწილეებს ევალებათ სტატიის მომზადება კლიმატის ცვლილების თემაზე. სტატია უნდა აშუქებდეს კლიმატის გლობალური ცვლილების მიერ გამოწვეულ შედეგებსა და რისკებს საქართველოსთან მიმართებაში. სტატია უნდა ეყრდნობოდეს სტუდენტის მიერ ჩატარებულ სამაგიდო კვლევას, კლიმატის ცვლილების თემატიკაზე უახლესი სტატიების მიმოხილვასა და ანალიზს. უპირატესობა მიენიჭება სტატიებს, რომლებიც რაოდენობრივი ან თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით იქნება მომზადებული. მონაწილეობის მიღება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე – ჯგუფებში (მაქსიმუმ 3 წევრი).

შესაძლო თემების ჩამონათვალი

- კლიმატის ცვლილება და ადაპტაცია
- კლიმატის ცვლილება და მიტიგაცია
- კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატასტროფები
- კლიმატის ცვლილება და ბიომრავალფეროვნება
- კლიმატის ცვლილება და წყლის რესურსები
- კლიმატის ცვლილება და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა
- კლიმატის ცვლილება, ენერგოეფექტიანობა და განახლებადი ენერგიები

პროდუქტის ფორმატი და კრიტერიუმები

(1) სტატია უნდა მომზადდეს **დანართ 1-ში მოცემული თავების შესაბამისად.** იხილეთ დანართი 1. სტატიის სტრუქტურა **აქ:**

(2) სტატია უნდა დაეყრდნოს სანდო წყაროებს: მაღალი სამეცნიერო ხარისხის სტატიებს და პუბლიკაციებს, მათ შორის, წიგნებსა თუ ანგარიშებს;

(3) სტატია უნდა გამოიგზავნოს word ფორმატში; sylfaen 12 შრიფტით და ხაზებს შორის მაქსიმუმ 1,5 დაცილებით.

შეფასების ეტაპები:

1) პირველ ეტაპზე სტატიები შემოწმდება ტექსტში პლაგიატის არსებობაზე და ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისობაზე. ის სტატიები, რომლებშიც არ აღმოჩნდება პლაგიატი და შესაბამისობაში იქნება ტექნიკურ მოთხოვნებთან, გადავლენ შემდეგ ეტაპზე;

2) მეორე ეტაპზე სტატიებს შინაარსობრივად შეაფასებს კომპეტენტური ჟიური, რომელიც შედგება CENN-ისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან. მეორე ეტაპზე გადასულ ყველა სტატიის ავტორს გადაეცემა მონაწილეობის სერთიფიკატი;

3) მესამე ეტაპზე მოხდება 10 ყველაზე მაღალქულიანი სტატიის წარდგენა და გამარჯვებული 3 ავტორის დაჯილდოება.

კონკურსის მიზნობრივი არეალი:

უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრისა და მაგისტრატურის საფეხურის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები საქართველოს მასშტაბით

კონკურსის ვადები:

15 თებერვალი - 30 აპრილი, 2023

კონკურსზე რეგისტრაციის ფორმა

შეფასების ვადები:

1-31 მაისი, 2023

გამოვლინდება 3 გამარჯვებული:

I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1200 ლარი, III ადგილი - 1000 ლარი.

კონკურსის განმახორციელებლები: (1) ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი „საქართველოს კლიმატის პროგრამა (GEO-CAP): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში“, რომელსაც ახორციელებს CENN პარტნიორ ორგანიზაციებთან - KRDF, ACU, YPU და RLS-ADA - ერთად, (2) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმი 1	კონკურსისთვის პრიორიტეტული თემის გაშუქება
კრიტერიუმი 2	სტატიის შინაარსის შესაბამისობა დავალებასთან (შინაარსობრივი გამართულობა)
კრიტერიუმი 3	სტატიის ტექნიკური გამართულობა (შესაბამისობა ტექნიკურ მახასიათებლებთან)
კრიტერიუმი 4	სტატიის შინაარსის ინოვაციურობა და საინტერესო დისკუსია

 სტუდენტური კონკურსი

კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა საქართველოზე